N 17
05/12/2019

17-07-4-201912051458

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N17

ქ. ლანჩხუთი 29. 11. 2019 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება -მრეწველები“-ს თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტში კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი ,,სოხუმი“-ს ქალთა მხარდამჭერი ცენტრის წარმომადგენლი ნონა მურვანიძე (მოხსენებითი ბარათის საფუძვლზე), მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის მერიიდან შემოვიდა ერთი საკითხი. მან მოუწოდა საკრებულოს წევრებს აღნიშნული საკითხი დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.
მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის წლიური ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი ბესიკ ტაბიძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

7.სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 26 წევრი.
მომხრე საკრებულოს 26 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე საკრებულოს წევრმა **ლელა ჩახვაძემ** გააკეთა ორი განცხადება. კერძოდ: სახელმწიფო აუდიტის დეპარტამენტის სამსახურმა მუნიციპალიტეტში არსებული სამი მუზეუმის: სპორტის, თ. ფირცხალაიშვილის სახელობის შემოქმედთა და ვ. წულაძის სახ. კინოსა და თეატრის მუზეუმების შესახებ დადო შუალედური დასკვნა, რაც აბსოლიტურად არ შეესაბამება სინამდვილეს და მუზეუმების დისკრედიტაციას ემსახურება. მუზეუმების მუშაობის შესახებ დასკვნის გასაკეთებლად აუცილებელ პირობას წარმოადგენს მათი ფონდის შესწავლა, რაც ზემოთ აღნიშნულ არც ერთ მუზეუმში არ მომხდარა. აუდიტის აზრით, მუზეუმებში ფონდები დაკომპლექტებულია მხოლოდ ქსეროასლებით. საკრებულოს წევრის თქმით, საკრებულოს ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია“ ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ეს მუზეუმები დარჩნენ ლანჩხუთის რეალობაში, რადგან ისინი ემსახურებიან მუნიციპალიტეტის როგორც წარსული, ასევე უახლოესი ისტორიის შენახვა-წარმოჩინებას. ამასთან დაკავშირებით, მათი ფრაქცია ასევე მიმართავს სახელმწიფო აუდიტის იმ უშუალო წარმომადგენელს, რომლიც იმყოფებოდა მუნიცპალიტეტში. გარდა ამისა, საკრებულოს წევრის განცხადებით, სანამ ქვეყანაში არ იქნება პოლიტიკური სტაბილიზაცია, სანამ პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ არ შეასრულებს გაცემულ დანაპირებს და არ მიიიღებენ პროპორციულ არჩევნებს, მანამ ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია“ ტოვებს საკრებულოს მუშაობას და გადადის ბოიკოტის რეჟიმში.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, მუნიციპალიტეტისთვის ჯერ არ მოუწოდებიათ აუდიტის შუალედური დასკვანა. აქედან გამომდინარე, მისთვის გაუგებარია, საკრებულოს წევრი საიდან ფლობს აღნიშნულ ინფორმაციას.

საკრებულოს წევრის, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, **ციცინო ჩხაიძის** განცხადებით, საქართველოს მთავრობა აღნიშნავს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16-დღიან გლობალურ კამპანიას, რომელიც 25 ნოემბერს - ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის საერთაშორისო დღეს დაიწყო და 10 დეკემბერს - ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს დასრულდება. აღნიშნულ ღონისძიებას თავის მხრივ უერთდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი შემოსვლისთანავე განიხილა კომისიებმა და ფრაქციებმა. მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შედეგად გამოითქვა სხვადასხვა სახის შენიშვნები და წინადადებები: -ლანჩხუთის კეთილმოწყობის სამსახურის ბიუჯეტს დაემატოს 50 000 ლარი და ზაფხულის სეზონის მოსვლასთან დაკავშირებით, გაეზარდოს დაფინანსება აუცილებელი მოთხოვნილებებიდან გამომდინარე შესაძლებლობის ფარგლებში.

-ლანჩხუთის კეთილმოწყობის სამსახურის სრულყოფილი და ეფექტური ფუნქციონირებისთვის აუცილებელია საქმიანი ეზოს მოწყობა თავისი სამრეცხაოთი.

-კულტურის გაერთიანებას დაემატოს 55 000 ლარი ფოლკლორული ჯგუფებისთვის ფორმების შესაძენად.

-სახელოვნებო სკოლებს დაემატოს 4 800 ლარი, რათა მის დაქვემდებარებაში არსებული ობიექტები დაცვაზე იქნას აყვანილი.

-გენდერულ საბჭოს დაემატოს 5000 ლარი.

-მოსაწესრიგებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის შენობაში არსებული საპირფარეშო.

-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია ხელფასების მოწესრიგება, რომელიც სასურველია შეეხოს ყველა რანგის სპეციალისტს, რისთვისაც დამატებით საჭიროა დაახლოებით 28 000 ლარის მოძიება.

-ქალთა საფეხბურთო სკოლას გაეზარდოს ბიუჯეტი 20 000 ლარით.

-საფეხბურთო სკოლის სახელფასო ფონდის შესავსებად საჭიროა 17 000 ლარის დამატება.

-რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობისათვის ბიუჯეტში გამოყოფილი 40 000 ლარი მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მდებარე მონასტრებს მოხმარდეს საჭიროების შემთხვევაში.

-მუხლობრივად განისაზღვროს ძალადობის მქონე მსხვერპლი ქალების მიმართ ერთჯერადი დახმარებითვის 5000 ლარი.

-მაწანწალა ძაღლებისთვის გაკეთდეს თავშესაფარი.
-სოფლის წარმომადგენლებს მოემატოს საწვავისა და ტელეფონის ხარჯი.
-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მოხდეს მეტადონისა და ჰემოდიალიზის პროგრამაზე მყოფი პირებისთვის მომსახურეობის გაწევა.
-მუნიციპალური ტრანსპორტის მოწესრიგება.
-მუნიციპალიტეტის ცენტრში მოეწყოს ტურისტული ადგილების მიმართულების მაჩვენებელი ნიშანი.
-ერთი ერთეული გრეიდერისა და ექსკავატორის შეძენა.

საკებულოს წევრმა **ციცინო ურუშაძემ** აღნიშნა, რომ სამარშრუტო ავტომობილები, რომლებიც ემსახურება მუნიციპალიტეტის სოფლებს, ცუდ მდგომარეობაშია და მწყობრიდან არის გამოსული. როგორც ცნობილია, თბილისის მერიის მიერ მოხდა საქალაქო სამარშრუტო ავტომობილების ახლით ჩანაცვლება. საკრებულოს წევრმა უშუალოდ გაარკვია, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისა და მერის ერთობლივი წერილობითი მიმართვის საფუძველზე შეიძლება თბილისის მერიის მიერ მოხდეს შეცვლილი სამარშრუტო მანქანების მუნიციპალიტეტისთვის გადმოცემა.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, მიკროავტობუსები, რომლებიც სოფლებს ემსახურება, წარმოადგენს კერძო საკუთრებას, გარდა ,,ჯაპანა-ეწერი“-ს მიმართულებით მოძრავისა, რომელიც მუნციპალიტეტის დაქვემდებარებაშია. რაც შეეხება წერილს, ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაახლოებით 4-5 თვის წინ, როცა თბილისის მერიამ დააანონსა ახალი ავტობუსების შემოყვანა, მუნიციპალიტეტის მიერ გაგზავნილი იქნა შესაბამისი წერილი. საკითხი ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არ არის, მაგრამ ამ კუთხით მიმდინარეობს მუშაობა.

საკრებულოს წევრის, **ცისანა ურუშაძის** თქმით, ,,ჯაპანა-ეწერი“-ს მიმართლებით მოძრავი სატრანსპორტო საშუალება იმყოფება საშინელ მდგომარეობაში, რომლითაც მგზავრობა გაუსაძლისი და რისკის შემცველია.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი ,,სოხუმი“-ს ქალთა მხარდამჭერი ცენტრის წარმომადგენლმა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული საბჭოს წევრმა, ნონა მურვანიძემ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მომართა მოხსენებით ბარათით საკრებულოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლასთან დაკავშირებით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი ,,სოხუმი“-ს ქალთა მხარდამჭერი ცენტრის წარმომადგენლი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გენდერული საბჭოს წევრის, **ნონა მურვანიძის** განცხადებით, მიესალმება მუნიციპალიტეტში გენდერული კუთხით დაფინანსების გაზრდას 5000 ლარამდე, მაგრამ მას ჰქონდა შემოტანილი ინიციატივა ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის გარკვეული კუთხით დახმარების აღმოჩენასთან დაკავშირებით. ძალიან მნიშვნელოვანია კონკრეტულად ასეთი სტატუსის მქონე ქალბატონებისთვის პროგრამის ფარგლებში მუხლობრივად იყოს გამოყოფილი ლიმიტირებული თანხა.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, 2019 წლიდან მოხდა ამ კუთხით დაფინანსების გათვალისწინება. მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამის ფარგლებში გათვალიწინებულია ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** შეეხო რელიგიური ორგანიზაციების ხელშეყწობის ქვეპროგრამას და აღნიშნა, რომ მიესალმება სასულიერო გიმნაზიის მოსწავლეების ტრანსპორტირებისთვის 7 500 ლარის გამოყოფას, მაგრამ მას აინტერესებს იმ 40 000 ლარის მიზნობრიობა, რომელიც მიიმართება რელიგიის კუთხით. ეს საკითხი საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომაზეც დასვა და კოლეგების უმრავლესობამ მხარიც დაუჭირა. მისთვის გაუგებარია, საით მიიმართება და რა დანიშნულებით მოიხმარება ისედაც ღარიბი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად რელიგიის დასახმარებლად გამოყოფილი ფინანსები. საკრებულოს წევრმა შარშანაც დასვა ეს შეკითხვა, მაგრამ პასუხი იმის შესახებ, სად მიდის ეს თანხა, ვერ მიიღო. საკრებულოს წევრმა აღნიშნა, რომ მის სოფელში შენდება ტაძარი, რომელსაც ერთი ლარიც არ მიუღია ამ ფონდიდან. მას მიაჩნია, რომ ამ კუთხით უპრიანია გაკეთდეს უფრო ზუსტი გათვლები და თუ ბიუჯეტიდან სრულად ვერ ამოიღებენ მას, თანხა გაანახევრონ მაინც, რომ გამოთავისუფლებული თანხა მოხმარდეს სხვა პროგრამებს, თუნდაც სოციალურს, მით უმეტეს, რომ მას დაემატა ორი ახალი ქვეპროგრამა. მართალია, მუნციპალიტეტში პრიორიტეტად ინფრასრუქტურა დასახელდა, მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია დღევანდელი მძიმე სოციალური ფონი, როდესაც უამრავ გაჭირვებულ და მძიმედ დაავადებულ ადამიანს არ გააჩნია მკურნალობისთვის საჭირო სახსრები.

კოლეგას დაეთანხმა საკრებულოს წევრი **ცისანა ურუშაძე** და აღნიშნა, რომ მეორე წელია ამ თემას აჟღერებს, მაგრამ ამაოდ. მისი თქმით, წინააღმდეგი ნამდვილად არ არის რელიგიის კუთხით გადაირიცხოს ფინანსები, მაგრამ დეპუტატებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ სად მიდის თანხა და მისი რა ნაწილი ხმარდება მუნიციპალიტეტის ეკლესია-მონასტრებს. პირადად წლებია, რაც აგარაკის ტაძრის მრევლია, სადაც გაუსაძლისი მდგომარეობაა, მაგრამ გამოდის, რომ ფონდიდან ერთი თეთრიც არ ხმარდება ამ ტაძარს. საკრებულოს წევრი დარწმუნებულია, რომ სხვაგანაც ანალოგიური მდგომარეობაა შექმნილი. მისი აზრით, უნდა გაირკვეს, საით მიიმართება ისედაც მწირი ბიუჯეტიდან გამოყოფილი 40 000 ლარი. იქნებ იმდენ რამეს ხმარდება ეს თანხა, რომ სულაც არაა საკმარისი და მეტია საჭირო.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან აღნიშნული თანხის გადარიცხვა ხდება ეტაპობრივად ეპარქიიდან ოფიციალური მომართვის საფუძველზე. თუმცა, კონკრეტულად, რა საჭიროებებისთვის ხდება ამ თანხის გამოყენება, მუნიციპალიტეტის მერისთვის უცნობია. მან შესთავაზა საკრებულოს წევრებს, იმსჯელონ ერთობლივად და მიზნობრივად ისე გააკეთონ, როგორც უკეთესი იქნება.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, არის თუ არა გათვალისწინებული მსოფლიოს ჩემპიონის, გიორგი შოთაძის დაჯილდოების თანხა-1000 ლარი გათვალისწინებული, ასევე ქალთა საფეხბურთო გუნდისა და 100 % გრანტის მქონე აბიტურიენტის წახალისებები.

მუნიციპალიტეტის მერის **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, მსოფლიოს ჩემპიონის გიორგი შოთაძის დაჯილდოების თანხა გათვალისწინებულია მიმდინარე წელს. ასევე გათვალისწინებული იქნება ქალთა საფეხბურთო გუნდისა და 100 % გრანტის მქონე აბიტურიენტის წახალისებები.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 57 (29.11.2019)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ.** მან აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომაზე საკრებულოს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად. საკრებულო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის), „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ანგარიში წარმოადგენს 2019 წელს საკრებულოს მიერ გაწეულ მუშაობის ანგარიშს, მასში მიმოხილულია საკრებულოს ბიუროს, თითოეული კომისიის, ფრაქციის, საკრებულოს წევრის, გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ გაწეული მუშაობა, თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობა და სხვა.

საკრებულოში წარმომადგენლობითი ორგანოს მუშაობის ორგანიზების მიზნით შექმნილია საკრებულოს ბიურო. ის კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობას. მას მნიშვნელოვანი როლი აკისრია საკრებულოს საქმიანობაში.

საკრებულო, როგორც წარმომადგენლობითი ორგანო უზრუნველყოფს სხდომების გამართვას, სამართლებრივი აქტების შემუშავებას, განხილვასა და მიღებას.

საანგარიშო პერიოდში ჩატარდა:

16 საკრებულოს სხდომა (მათ შორის 6 რიგგარეშე) და 11 ბიუროს სხდომა.

საანგარიშო პერიოდში მიღებული იქნა:

17 - დადგენილება; 56 - განკარგულება; 174 - თავმჯდომარის ბრძანება.

საკრებულოში საკითხის წინასწარი მომზადების, გადაწყვეტილებათა შესრულებისთვის ხელის შეწყობის, მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულებისა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების კონტროლის მიზნით, შექმნილია საკრებულოს კომისიები. ისინი, დარგების მიხედვით აკონტროლებენ მერიის შესაბამისი სამსახურების საქმიანობას, ისმენენ მათ ანგარიშებს გაწეული მუშაობის

შესახებ, შეიმუშავებენ სათანადო რეკომენდაციებს, დასკვნებს და წარმოადგენენ წინადადებებს. ამ კუთხით კომისიებმა გასულ წელს გარკვეული მუშაობა გასწიეს. სულ საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 42 სხდომა, აქედან ერთი გაერთიანებული სხდომა.

თითოეული კომისია გუნდური მუშაობით არის მოტივირებული, რათა დროულად იქნას შესწავლილი მთელი რიგი პრობლემური საკითხები.
დღესდღეობით საკრებულოში მოქმედებს შემდეგი მუდმივმოქმედი კომისიები:
1. იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია -/თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია/;.
2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - /თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე/;
3. ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია /თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე/;
4. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია - /თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე/;
5. სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - /თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე/;

საკრებულოს თავმჯდომარემ მოკლედ წარმოადგინა მათ მიერ გაწეული მუშაობა.
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ
საანგარიშო პერიოდში ჩაატარა: კომისიის 11 სხდომა, განიხილა 19 საკითხი. ამათქგან გამოყო ზოგიერთ მათგანი:

კომისიამ განიხილა ელექტრონული პეტიცია, ,,გურული მხედრების“ სახელობის მოედნის სახელდების შესახებ. ინიციატივა ელექტრონული პეტიციის სახით, მწერლისა და რეჟისორის, ირაკლი მახარაძის ავტორობით დარეგისტრირდა საკრებულოში. პეტიცია აღნიშნულმა კომისიამ ავტორთან და დაინტერესებულ პირებთან ერთად განიხილა. დადებითად შეფასდა როგორც საკრებულოს, ასევე სამთავრობო კომისიების მხრიდან და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის წინ მდებარე მოედანს ეწოდა გურული მხედრების სახელი. მომავალში აღნიშნულ ადგილას იგეგმება ბრინჯაოს კომპოზიციის დადგმა.
როგორც აღინიშნა, ეს არის პატივისცემის გამოხატვა გურული მხედრების მიმართ, ტურისტული კუთხითაც მნიშვნელოვანი ფაქტია, ქალაქიც გალამაზდება და ასევე ღირშესანიშნაობაც იქნება ჩამოსული სტუმრებისათვის.

კომისიამ ასევე განიხილა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის საკითხი, რომლის ინიციატორი გალდათ საკრებულოს წევრი ამირან გიგინეშვილი. გრიგოლეთის სანაპირო ზოლში ქვიშის მაგნიტური ანომალიის დადასტურების გამო განუზომლად გაიზარდა დასახლების სამკურნალო ტურიზმის პოტენციალი, ამიტომ მიზანშეწონილად ჩაითვალა და შეიქმნა „ 20172021 წლების გრიგოლეთის მდგრადი განვითარების ინტეგრირებულ-სტრატეგიულ გეგმაში“ ცვლილების შეტანაზე ორიენტირებული სამუშაო ჯგუფი.

სამუშაო ჯგუფმა, ბატონ გიგინეიშვილის ხელმძღვანელობით, ადგილობრივი მოსახლეობისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით შეიმუშავა სოფელ გრიგოლეთის სანაპიროს 2019-2023 წლების მდგრადი განვითარების ინტეგრირებული გეგმა, რომელშიც მოცემულია ასევე სამომავლო პერსპექტიული ხედვა. გეგმის მიხედვით, 2023 წლისთვის გრიგოლეთი გადაიქცევა მიმზიდველ საერთაშორისო რანგის სამკურნალო – გამაჯანსაღებელ კურორტად, იქნება კარგი მუნიციპალური (კომუნალური) ინფრასტრუქტურა.

იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ ასევე განიხილა და შემდეგ შევიდა ცვლილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში. კერძოდ, დოკუმენტის 90-ე მუხლი დაიხვეწა ამომრჩევლებთან შეხვედრის ნაწილში და იგი მეტად ორიენტირებული გახდა მოქალაქეთა აქტიურ და შეუზღუდავ მონაწილეობაზე საჯარო საქმნიანობაში. ასევე ცვლილებები განხორციელდა საკრებულოს შემადგენლობაში, როგორც ცნობილია, საკრებულო პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა საკრებულოს წევრმა თორნიკე ტიკაძემ და მის ნაცვლად საკრებულოს წევრი გახდა პარტიული სიით ვენე კვირკველია, ცვლილებები განხორციელდა საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიების შემადგენლობაში და საკრებულოს აპარატის დებულებაში.

საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში“ და სხვა კანონებში შესულმა ცვლილებებმა ნათლად გამოხატა, რომ საჭირო იყი რიგი ნორმატიული აქტების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა, ეტაპობრივად განხორციელდა ყველა ნორმატიული აქტის სამართლებრივად გამართვა.

აღნიშნულმა კომისიამ საანგარიშო პერიოდში მოისმინა მერიის სამსახურებისა და ა(ა)იები-ს ანგარიშები. აღსანიშნავია, რომ კომისიის მიერ ყოველდღიურ რეჟიმში ათობით მოქალაქეს გაეწია იურიდიული კონსულტაცია სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საკრებულოს სივრცით–ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია ერთ-ერთი წამყვანი კომისიაა საკრებულოში.

მუნიციპალიტეტში ბოლო წლების განმავლობაში ძალიან დიდი თანხები იხარჯება ინფრასტრუქტურული თუ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით სამუშაოების შესასრულებლად, ასევე იხარჯება თანხები სტიქიის პრევენციის მიზნით. სწორედ ამიტომ ინფრასტრუქტურის კომისიის ხელმძღვანელი და წევრები აქტიურად მონაწილეობენ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შერჩევასა და განხორციელებაში.

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ საანგარიშო პერიოდში ჩაატარა 7 კომისიის სხდომა. განიხილა 14 საკითხი. ლანჩხუთის
მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურს რეაგირებისთვის გადაუგზავნა 32 პრობლემური საკითხი.

აქტუალურობიდან გამომდინარე, საკრებულოს თავმჯდომარე უფრო ვრცლად შეეხო მუნიციპალიტეტში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს

წელს ისევ აღსდგა რამდენიმე წლის წინ შეჩერებული სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, რომლის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 748 000 ლარი. სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია და მთლიანად საკრებულო აქტიურად იყო ჩართული აღნიშნული პროგრამის პრიორიტეტების შერჩევის პროცესში.

თითოეული სოფლის მიხედვით განსახორციელებელი პროექტები შერჩეული იქნა სოფლის საერთო კრებებზე. მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში განხორციელდა სხვადასხვა სახის პროექტი. ესენია: შიდა გზების მოწესრიგება, სანიაღვრე არხებისა და ცხაურების მოწყობა, გარე განათების მოწესრიგება, სასაფლაოებთან მისასვლელი და შიდა გზის მოწესრიგება, წყლის სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია, სოფლის სპორტული მოედნის მოწყობა და ა.შ.

საკრებულოს წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტში მომხდარი სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელებაში. საკრებულოს წევრების, მერის წარმომადგენლების მიერ მოსახლეობასთან შეხვედრებისა და კონსულტაციების შედეგად მიმდინარეობდა სოფლებში არსებული დაზიანებების მოკვლევა და შესაბამისი სამსახურისთვის მიწოდება.

წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სტიქიის სალიკვიდაციო თანხით მუნიციპალიტეტის 16 ადმინისტრაციულ ერთეულში ტარდება ნაპირსამაგრი სამუშაოები (1 500 000 ლარი), ასევე რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ადმინისტრაციულ შენობას (88 000 ლარი).

უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ყურადღება ექცევა სახელმწიფოს მიერ სტიქიის პრევენციას.

საკრებულომ მოიწონა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სტიქიის პრევენციის მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი პროექტები. აღნიშნული პროექტი მოიცავს 536 993 ლარის ფარგლებში
ჩასატარებელ სამუშაოებს:

ქალაქ ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქუჩაზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა.
ქალაქ ლანჩხუთში, გოგიჩაიშვილის ქუჩაზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა.
ქალაქ ლანჩხუთში, ურუშაძის ქუჩაზე რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიამ და შემდეგ საკრებულომ სხდომაზე განიხილა და მოიწონა „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის №120 დადგენილების შესაბამისად“ განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილი 2019 წელს განსახორციელებელი პროექტების ნუსხა. ამ პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტს გამოეყო 175 000 ლარი. ეს თანხა ასე გადანაწილდა:

1. სოფელ აკეთში ამბულატორიის რეაბილიტაცია. (20 400 ლარი);
2. სოფელ აცანაში ამბულატორიის რეაბილიტაცია. (22 000 ლარი);
3. სოფელ ნიგოითში ამბულატორიის რეაბილიტაცია. (27 800 ლარი);

4. სოფელ შუხუთში ამბულატორიის რეაბილიტაცია. (21 765 ლარი);
5. სოფელ სუფსაში ამბულატორიის მშენებლობა. (83 000 ლარი).

უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელს რეაბილიტაცია ჩაუტარდება მამათის, გვიმბალაურის, ჩიბათის, ლესის, ნინოშვილისა და ჩოჩხათის ამბულატორიებს, ხოლო ახალი ამბულატორიები აშენდება ღრმაღელის, ჯურუყვეთის, ნიგვზიანისა და ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულებში. პროექტების განხორციელებისათვის გამოყოფილია 500 000 ლარი.

მიმდინარე წელს სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება ქალაქ ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე ხელოვნურსაფარიან მინი სტადიონს და თავისუფლებისა და ჭანტურიას ქუჩების კვეთაზე არსებულ მინი სტადიონს. საერთო ღირებულებით (249 613 ლარი).

როგორც ცნობილია, სოფელ გვიმბალაურში რეგიონში ერთადერთი ბავშვთა საფეხბურთო აკადემია შენდება. ის მოემსახურება მეზობელ რეგიონებსაც. ეს პროექტი ძალზედ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტისთვის. მთლიანად შეიცვლება არსებული ინფრასტუქტურა. ამავე ეზოში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ სტადიონის მშენებლობაა დაგეგმილი. ბავშვთა საფხბურთო სკოლის მშენებლობა, ძალზედ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მომავალი თაობის ჯანსაღ გარემოში ინტეგრაციისთვის. აკადემია ხელს შეუწყობს ფეხბურთის განვითარებას, როგორც მუნიციპალიტეტში, ასევე ქვეყნის მასშტაბით.

მიმდინარე წელს დასრულდა ჭადრაკის სახლის სრული რეაბილიტაცია (86 000 ლარი), რომელიც 70 ბავშვს ემსახურება.

რაც შეეხება გაზიფიცირების საკითხს მიმდინარე წელს სრულად გაზიფიცირდება აცანის, ლესისა და ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეულები, სადაც ბუნებრივი აირით ისარგებლებს დაახლოებით 2 100 კომლი. 2020 წლისთვის დაგეგმილია მამათის, აკეთისა და ღრმაღელის ადმინისტრაციული ერთეულებში შემავალი სოფლების სრული გაზიფიცირება

საკრებულოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას აქვე გააცნო 2020 წელს განსახორციელებელი პროექტები.

2020 წელს რეგიონალური განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტებია:

ქალაქ ლანჩხუთის საფეხმავლო ბილიკების, გარე განათების და მიმდებარე ტერიტორიაზე მრავალბინიანი შენობების ფასადების რეაბილიტაცია;
ქალაქ ლანჩხუთის 10 ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა;
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია;
ქალაქ ლანჩხუთში მრავალბინიანი სახლების სახურავების რეაბილიტაცია;

ქალაქ ლანჩხუთში რამდენიმე ქუჩაზე ასფალტო-ბეტონის საფარის მოწყობა;
სოფელ გრიგოლეთში, პალიასტომის ტბაზე შესასვლელის მოწყობა;
სოფელ ყვავილნარში გზის რეაბილიტაცია;
სოფელ შუხუთში ლელოს მუზეუმის მშენებლობა;
ნოე ჟორდანიას სახელობის სკვერის რეაბილიტაცია;
ორაგვის ტურისტული ზონის ინფრასტრუქტურის მოწყობა;
კურორტ გრიგოლეთში შიდა ინფრასტრუქტურის მოწყობა.

წყლის ხარისხის გაუმჯობესების პროგრამით განსახორციელებელი პროექტი მოიცავს ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაციას.

სტიქიის პრევენციის ფონდით ქალაქ ლანჩხუთში ორ ქუჩაზე მოეწყობა სანიაღვრე არხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა ის გარემოება, რომ ინფრასტრუქტურული პროექტებით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობას დიდ ყურადღებას აქცევს როგორც მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახური, ასევე საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, კომისიის წევრები, მაჟორიტარი დეპუტატები, მერის წარმომადგენლები. თუმცა, აუცილებელია მეტი ყურადღების მიქცევა, რათა შესრულებული სამუშაოს ხარისხი იყოს მაღალი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონებისა მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას საანგარიშო პერიოდში ჩატარებული აქვს 9 სხდომა. სხდომებზე განიხილეს სამუშაო გეგმით გათვალისწინებული და მიმდინარე საკითხები. ასევე მერიის სამსახურებიდან და საკრებულოს სხვა კომისიებიდან ინიცირებული პროექტები. კომისიამ შეისწავლა ისინი და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

კომისიის მიერ ასევე შესწავლილი იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული საპრივატიზაციო გეგმასა და ნუსხაში შესატანი ქონებები. მათ მიერ რეკომენდაცია მიეცათ მერიის შესაბამის სამსახურებს მიემართათ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის, რათა მოახდინონ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული უსახური, მოსახლეობისათვის საფრთხის შემცველი ქონებების პრივატიზება ან გადმოცემა მუნიციპალიტეტისათვის.

გარდა ამისა, კომისიის მიერ გაიმართა მუშა შეხვედრები მოსახლეობასთან კოლხეთის ეროვნულ პარკსა და საშეშე და სამასალე ხე-ტყის მოპოვებასთან დაკავშირებით. ამავე საკითხებზე შეხვედრები გაიმართა პარლამენტის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის დარგობრივ კომიტეტთან, სოფლის მეურნეობისა და გარემოს დაცვის სამინისტროსთან.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონებისა მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია აქტიურად იყო ჩართული აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებათა დაგეგმვის პროცესში და არაერთი სამუშაო შეხვედრა გაიმართა აღნიშნული პრობლემური საკითხის სწორად წარმართვის მიზნით. წელს მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით განხორციელდა წერტილოვანი შეწამვლა, ხოლო ისეთ უბნებში, სადაც ასეთი სახის სამუშაოები ვერ მოხერხდა, მოთხოვნის საფუძველზე მოხდა თერმული ნისლით დამუშავება. ასევე ყველგან დამონტაჟდა ე.წ. „მოიზიდე და მოკალი“. გარდა ამისა, ათი ტრაქტორი მოემსახურა მუნიციპალიტეტს, რომელთა საშუალებით შეიწამლა საყანე ფართობები.

აღსანიშნავია, რომ საგრძნობლად შემცირდა მავნებლების რაოდენობა და ეს პროცესი კიდევ უფრო შედეგიანი იქნება მომდევნო წლებში.

აღნიშნულმა კომისიამ მონაწილეობა მიიღო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ავტომაგისტარლის სამტრედია-გრიგოლეთის გზის მშენებლობასთან დაკავშირებით, მოსახლეობის მიერ წამოჭრილი არაერთი პრობლემური საკითხის მოგვარებასა და დარეგულირების პროცესებში.

მათ მიერ ასევე შემუშავებული იქნა არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, განისაზღვრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ბალანსზე ასევე, კერძო საკუთრებაში არსებული ქონების საბალანსო ნარჩენი ღირებულების გადასახადის განაკვეთი.

საანგარიშო პერიოდში კომისიამ განიხილა სამართლებრივი აქტების პროექტები და გააკეთა შესაბამისი დასკვნები.

მათ მიერ განხილული იქნა და სხვადასხვა სახის შუამდგომლობები გაეწია არაერთ განცხადებას. საკრებულოს ეკონომიკის, ქონებისა მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია მოტივირებულია გუნდური მუშაობით, რათა დროულად იქნეს შესწავლილი მთელი რიგი პრობლემატური საკითხები და აგრძელებს აქტიურ მუშაობას.

მიმდინარე წელს საკრებულოს რეგლამენტის და კომისიის დებულების დაცვით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ მოწვეული იქნა 9 სხდომა, აქედან ერთი სხდომა ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიასთან ერთად გაერთიანებული. სხდომებზე განხილულ და მოსმენილ იქნა, როგორც სამუშაო გეგმით გათვალისწინებული, ასევე მიმდინარე საკითხები. კომისიამ როგორც მერიის სამსახურებიდან, ასევე საკრებულოს სხვა კომისიებიდან ინიცირებული პროექტები განიხილა, შეისწავლა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია გამჭვირვალობისა და ეფექტურობის პრინციპიდან გამომდინარე აქტიურად მონაწილეობდა, საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედის მოთხოვნის საფუძველზე საკრებულოს მიერ მომზადებული შესაბამისი განკარგულების პროექტის განხილვაში, რომელიც ეხებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ორგანოების საფინანსო-ეკონომიური საქმიანობის, ბიუჯეტის

შესრულების კანონიერების მიზანშეწონილობისა და ეფექტურობის შეფასების მიზნით აუდიტის მოწვევას.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ძირითადი საქმინობა ეხებოდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განსახორციელებელ ცვლილებებს, რაც უმეტესად განპირობებული იყო საქართველოს მთავრობის მიერ მუნიციპალიტეტში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო და პრევენციის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების, ასევე ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით. კომისიამ ასევე შეისწავლა ბიუჯეტში თანხების შიდა მონაცვლეობის აუცილებლობის მიზანშეწონილობა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი წლის განმავლობაში გაიზარდა 8 988 661 ლარით და საბოლოოდ შეადგენს 19 050 064 ლარს.

მიმდინარე წლის სექტემბრის თვის მონაცემებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შემოსულობების სახით მობილიზებულია 15 571 230 ლარი, აქედან შემოსავლების სახით მიღებულია 9 233 753 ლარი, რაც წლიური გეგმის 95,7%-ს შეადგენს, მათ შორის დამატებული ღირებულების გადასახადი მიღებულია 6 360 611 ლარი, წლიური გეგმის 91,1%; ქონების გადასახადი 1 785 746 ლარი, წლიური გეგმის 137,4%; გადაჭარბებით შესრულდა მიწის გადასახადის გეგმა. შემოსავლების კუთხით პრობლემა მდგომარეობს მხოლოდ არაფინანსური აქტივების კლებაში. როგორც გასულ წლებში, ახლაც არ სრულდება დაგვა-დასუფთავების მოსაკრებელი.

მიმდინარე წელს ასევე საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომებზე მოსმენილ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2019 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიში. კომისიის მიერ განხილული იქნა ასევე არაერთი მნიშვნელოვანი საკითხი და შუამდგომლობები გაეწია კომისიაში შემოსულ ათობით განცხადებას. დროულად ახდენს
რეაგირებას ყოველ შემოსულ წერილზე. აქტიურად თანამშრომლობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია ორიენტირებულია მაღალ შედეგებზე და ასევე მოქალაქეების ინფორმირებასა და აქტიურ ჩართულობაზე, რათა მუნიციპალიტეტის ისეთმა მნიშვნელოვანმა დოკუმენტმა, რომელიც არის ბიუჯეტი ასახოს მოქალაქეების აუცილებელი მოთხოვნილებები.

რაც შეეხება საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ერთი წლის განმავლობაში ჩატარებული აქვს 6 სხდომა. მათ შორის ერთი გაერთიანებული საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან ერთად. განხილულია 11 საკითხი, შემოსულია 4 წერილი. ყველა წერილზე გაკეთებულია რეაგირება და გაცემულია შესაბამისი პასუხი, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან გადაგზავნილია 12 პრობლემური საკითხი.

- სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის მიერ განხილულ იქნა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების - 16 პროგრამა და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის

ბიუჯეტიდან სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების -4 პროგრამა.
2019 წელს პროგრამის ფარგლებში 1000-ზე მეტ ბენეფიციარს გაეწია დახმარება.
სოციალური პროგრამების განსახორციელებლად ბიუჯეტში გამოყოფილი იყო 565 100 ლარი.

სოციალური პროგრამებით სარგებლობენ:
1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა - ისარგებლა 103 ბენეფიციარმა.
2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა - ისარგებლა 25 ბენეფიციარმა.
3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა - ისარგებლა 66 ოჯახმა.
4. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა - 83 ბენეფიციარი.
5. მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა - ისარგებლა 44 მოსწავლემ;
6. დღის ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა - ისარგებლა 24 მზრუნველობამოკლებულმა ბავშვმა;
7. ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა - ისარგებლა 24 ბენეფიციარმა.
8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა - დახმარება გაცემულია 51 ოჯახზე;
9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა - ისარგებლა 452 ბენეფიციარმა.
10. მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა - 59 ბენეფიციარი.
11. ლანჩხუთის რეგიონული ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის ამ დროისთვის ისარგებლა კლუბის 20 წევრმა.
12. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა -ისარგებლა 3 ბენეფიციარმა; 13. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა - ისარგებლა 3 ბენეფიციარმა;
14. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა - 182 ბენეფიციარმა;
15. მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა, რომლითაც ისარგებლა 521 ბენეფიციარმა.
16. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა - 11 ბენეფიციარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა პროგრამების ფარგლებში ტარდება სოც-კულტურული ღონისძიებები, იმართება სასკოლო სპორტული ოლიმპიადები, ხდება შშმ პირების სხვადასხვა აქტივობებში ინტეგრირება, წარმატებული სპორტსმენების და

მწვრთნელების წახალისება. რაშიც აქტიურად არის ჩართული სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე და წევრები.

მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში გაიმართა ღონისძიებები სოხუმის დაცემის დღესთან და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მე-11 წლისთავთან დაკავშირებით, ასევე აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისს და ფაშიზმზე გამარჯვების 74-ე წლისთავი 9 მაისს. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში პატივი მიაგეს დაღუპულ მეომრებს და ფულადი საჩუქრები გადასცეს ომის ვეტერანებს და დაღუპული მებრძოლების ოჯახებს.

მიმდინარე წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების ფოლკლორის კაბინეტის ორგანიზებით, ნიგვზიანის მკვიდრის, სახალხო მთქმელის, ვახტანგ ტაბიძის დაბადებიდან 85 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო გაიმართა. რომელიც მის შემოქმედებასა და ბიოგრაფიას მიეძღვნა.

როგორც ცნობილია, მიმდინარე წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ბრძანებით ლელობურთს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. 28 აპრილს ტრადიციულად გაიმართა ლელობურთი, ასევე ჩატარდა სხვადასხვა სპორტული თუ კულტურული ღონისძიებები, ადგილობრივი მოსახლეობისა და მცირე მეწარმეების მიერ წარმოდგენილ იქნა მათ მიერ შექმნილი პროდუქცია, რომლის პარალელურად გაიმართა გამოფენა-გაყიდვა. აღნიშნულ ღონისძიებებში აქტიურად იყო ჩართული და მონაწილეობდა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

უნდა აღინიშნოს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი უკვე მეორე წელია მონაწილეობას იღებს ,,ევროპის სპორტის კვირეულში“, რომელიც ევროკომისიის ორგანიზებით, 2015 წლიდან ყოველწლიურად ტარდება და ხელს უწყობს სპორტული და ფიზიკური აქტივობის პოპულარიზაციას ევროპის მასშტაბით. სპორტული ღონისძიება იმართება ყველასთვის, განურჩევლად ასაკისა, სპორტული გამოცდილებისა, თუ ფიზიკური მომზადების დონისა.

როგორც იცით, 15 სექტემბერს მსოფლიო დასუფთავების დღე აღინიშნება. ამ დღეს დაგეგმილ აქციებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა, რომლის ფარგლებშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებმა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებმა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გარდა კომისიებისა, დაფუძნებულია ასევე ფრაქციები, რომლებიც წარმოადგენს მსოფმხედველობითი თანხვედრის ან საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობით გაერთიანებას და საერთო პოლიტიკური მოსაზრებისა და ამოცანების მისაღწევადაა შექმნილი. დღეს საკრებულოში შექმნილია ხუთი ფრაქცია. ესენია:

- „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- /თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე/
- „ ქართული ოცნება - კონსერვატორები" - /თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე/
- ,,ქართული ოცნება–მრეწველები" - /თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე/

- „ქართული ოცნება-მწვანეები“- /თავმჯდომარე ზაზა წულაძე/
- „ძალა ერთობაშია“ - /თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა/

ფრაქციების მიერ საანგარიშო პერიოდში სულ ჩატარებულია 24 სხდომა,
ისინი ჩართულნი არიან სხვადასხვა პროექტების განხილვაში. თავმჯდომარის განცხადებით, სასურველია, რომ მათ კიდევ უფრო აქტიურად განახორციელონ რეგლამენტით გათვალისწინებული უფლებამოვალეობები, გამოხატონ და გაატარონ საკუთარი კურსი საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხების გადაწყვეტასთან დაკავშირებით.
უნდა აღინიშნოს, რომ გარდა რეგლამენტით განსაზღვრული სხდომებისა, საკრებულოში ბიუროს წევრებთან ყოველკვირეული სამუშაო შეხვედრები იმართება, სადაც მიმდინარეობს მსჯელობა პრობლემური საკითხების გადაწყვეტისა და აღმოფხვრის მიზნით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად საკრებულომ შექმნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც ახორციელებს მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და თანამდებობის პირთა მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ანალიზს გენდერული თვალსაზრისით და შეიმუშავებს წინადადებებს გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე ციცინო ჩხაიძე, ინტენსიურად მუშაობს, ატარებს საბჭოს სხდომებს, ასევე აქტიურად არის ჩართული მუნიციპალიტეტში განხორციელებულ სოციალურ-კულტურულ და საქველმოქმედო ღონისძიებებში.

მიმდინარე წელს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, ორგანიზაციის საქმიანობაში უფრო მეტად აქტიური ჩართულობისათვის სოფლად მცხოვრები ქალბატონების სურვილის შესაბამისად ათი ,,ქალთა სახლი“ დაფუძნდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზებით, მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში შშმ ბავშვების სარეაბილიტაციო ცენტრის გახსნის თაობაზე პრეზენტაცია მოეწყო.

ქალაქ თბილისის საკრებულოში გენდერული საბჭოს ეგიდით, ღონისძიება ,,ერთად ვეძებოთ გზები“ გაიმართა. შეხვედრას სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლები, გენდერულ ხელოვნებასა და კულტურის სფეროში მოღვაწე, ასევე ბიზნეს სექტორში დასაქმებული ქალები ესწრებოდნენ.

მიმდინარე წელს შშმ პირებს ლანჩხუთის გენდერული თანასწორობის საბჭოს ორგანიზაციამ ,,ქალები სამართლიანობითვის“ სამი ეტლი და ჰუმანიტარული ტვირთი გადასცა.

მუნიციპალიტეტის სოფლებში: ჯუნეწერში, ჩიბათსა და ლესაში განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს სტანდარტული ეტლები გადაეცათ.

შშმ პირთა უფლებების დაცვის კვირეულთან დაკავშირებით ლანჩხუთში ღონისძიება ჩატარდა, სადაც შშმ პირებმა თავიანთი შემოქმედება წარმოადგინეს.

ჩატარდა ფონდი ,,ტასოს“ და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ერთობლივი სამუშაო შეხვედრა, სადაც განხილული იქნა სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის სოფლებში ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. გარდა ამისა გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე და წევრები, მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატ ქალბატონებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გამართულ ტრენინგებში, კონფერენციებსა და ფორუმებში.

როგორც ცნობილია, საკრებულოს, საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფას ახორციელებს საკრებულოს აპარატი. მისი უფლებამოსილება, სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზება განსაზღვრულია საკრებულოს აპარატის დებულებით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს არსებული კანონმდებლობის შესაბამისად გაწეული აქვს გარკვეული მუშაობა. თანამშრომელთა შორის ფუნქციები და უფლებამოვალეობანი განაწილებულია სტრუქტურის მიხედვით. აპარატის თანამშრომლები უზრუნველყოფენ ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ, ანალიტიკურ და საინფორმაციო მომსახურებას. აპარატს დიდი წვლილი შეაქვს საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, კომისიებისა და ფრაქციების სხდომების, აგრეთვე საკრებულოს და საკრებულოს თანამდებობის პირთა მიერ სხვა ღონისძიებების ჩატარებაში; აპარატის უფროსი და თითოეული საჯარო მოხელე გამოირჩევა მაღალი პასუხისმგებლობით, შრომისმოყვარეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ აპარატი სწრაფად და ხარისხიანად ახორციელებს საკრებულოს საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას. ამას ადასტურებს ის, რომ ოფიციალურად არაერთი მადლობა არის მოსული.

საანგარიშო პერიოდში აპარატის მიერ მომზადდა სამართლებრივი აქტების პროექტები, სხვადასხვა უწყებებსა და ორგანიზაციებთან გასაგზავნი წერილები, მიმართვები და სხვა დოკუმენტები .

საკრებულოს თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გადაუხადა საკრებულოს აპარატის უფროსს, ნინო ძიძიგურს და მის გუნდს ღირსეული სამსახურისთვის და დაპირდა, რომ 2020 წლიდან
ეტაპობრივად მოხდება მათი წახალისება.

მიმდინარე წელს, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 88-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტის 131-ე

მუხლის შესაბამისად, საკრებულოს წევრებმა ამომრჩევლებს წარუდგინეს 2018 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. ანგარიშის წარგენა მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პროცესია, რომელიც არამარტო გაწეული საქმიანობის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს შეიცავს, არამედ საშუალებას იძლევა გააანალიზონ, თუ რისი გაკეთება შეძლეს და რა შეიძლება დაიგეგმოს სამომავლოდ. თითოეულ შეხვედრაზე მოსახლეობის მხრიდან დაისვა პრობლემური საკითხები, როგორც ინფრასტრუქტურის, ისე სოციალური კუთხით. მათი მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შიდა გზების მოწესრიგება, გარე განათების მოწყობა, წყლის სისტემისა და სათავე-ნაგებობების გაკეთება და
რეაბილიტაცია, გაბიონებისა და ნაპირსამაგრების მოწყობა, ხოლო საოციალური კუთხით მოსახლეობის მხრიდან ძირითადად თხოვნა შეეხებოდა მედიკამენტების შეძენასა და სოციალური დახმარებების გაცემასთან დაკავშირებულ პრობლემებს.

საკრებულოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკრებულოში ტრადიციად ჩამოყალიბდა მოქალაქეთა ყოველკვირეული მიღება. მიმდინარე წელს 200-მდე მოქალაქე იმყოფებოდა მიღებაზე, მომართვიანობა
ძირითადად სოციალური და ინფრასტრუქტურული პრობლემების მიმართულებით ჭარბობს. შესაძლებლობების ფარგლებში ადგილზე ხდება დახმარების გაწევა, ასევე მოქალაქეთა ინფორმირებულობა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით.

ყურადღების მიღმა არც მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირები რჩებიან, ვინაიდან მუნიციპალიტეტისთვის ამ ადამიანების ხელშეწყობა და საზოგადოებაში ინტეგრაცია ძალზედ მნიშვნელოვანია. ამ მიზნით მოეწყო სხვადასხვა სახის ღონისძიება. მიმდინარე წელს გაგრძელდა შშმ პირებისათვის სპეციალური საჭიროების ეტლების გადაცემა. აღნიშნული ეტლები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს არასამთავრობო ორგანიზაციამ "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" გადასცა.

უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქეები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, ვინაიდან ხშირია შემთხვევები, როდესაც უკიდურესად შეჭირვებულ ბენეფიციარს უწყდება სოციალური დახმარების მიღება. მინიჭებული სარეიტინგო ქულათა გადამოწმება, სააგენტოს მიერ ბოლოს განხორციელებული ცვლილებით, მხოლოდ წელიწადში ერთხელ არის შესაძლებელი. მიგვაჩნია, რომ ამ კუთხით გარკვეული მუშაობაა საჭირო.

მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში მაქსიმალურად უზრუნველყონ მოქალაქეთა ჩართულობა. როგორც იცით უკვე ორი წელია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ სოციალური ქსელის საშუალებით (საკრებულოს ფეისბუქ- გვერდზე) თვალი ადევნონ სხდომების მიმდინარეობას, დაუსვან კითხვები საკრებულოს წევრებს, დააფიქსირონ თავიანთი აზრი განსახილველ საკითხეთან დაკავშირებით და ა.შ. ეს ხელს უწყობს საკრებულოს მუშაობის ეფექტურობასა და გამჭვირვალობას.

საკრებულოს თავმჯდომარემ იქვე აღნიშნა, რომ საკრებულოში დაინერგა ეს-ემ-ეს ინფორმირების სისტემა, რაც გულისხმობს საკრებულოსა და საკრებულოს კომისიების სხდომების ჩატარების თარიღის
შესახებ მოქალაქეებისთვის მოკლე სატელეფონო ტექსტური შეტყობინებების გაგზავნას.

გარდა ამისა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სარგებლობს სოციალური ქსელით (Facebook), სადაც პერმანენტულად ქვეყნდება ბიუროს, კომისიის, ფრაქციის, საკრებულოს სხდომების შესახებ ინფორმაცია. როგორც იცით, მიმდინარე წლიდან ამოქმედდა ახალი ვებ- გვერდი (www.lanchkhuti.gov.ge), სადაც პროაქტიულად ქვეყნდება საკრებულოს საქმიანობის შესახებ ინფორმაცია. გვერდი არის თანამედროვე, გამჭვირვალე, ინფორმაციული და რაც მთავარია, ხელს უწყობს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.

საკრებულოს თვმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებსა და საკრებულოს თავმჯდომარის მაოდგილეს ვლადიმერ ნანაძეს გუნდური მუშაობისა და ერთობისათვის. ასევე, მადლობა გადაუხატა მუნიციპალიტეტის მერს ალექსანდრე სარიშვილს, მერიის სამსახურებს თანადგომისა და კოორდინირებული ურთიერთთანამშრომლობისთვის. მან აღნიშნა, რომ საქართველოს მასშტაბით ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ურთიერთობა და თანამშრომლობა ერთ-ერთი მისათითებელია.

თავის მხრივ, მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** მადლობა გადაუხადა დეპუტატებს და საკრებულოს თავმჯდომარეს თანადგომის, შეთანხმებული და გუნდური მუშაობისთვის, ასევე საკრებულოს აპარატის უფროსსა და საკრებულოს აპარატის თანამშრომლებს ხარისხიანად და პასუხისმგებლობით განხორციელებული საქმიანობისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** მიიაჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოს გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია ადგილობრივი მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ბიუროსა და თითოეული საკრებულოს წევრთან ერთად. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო არის ერთი მთლიანი ორგანიზმი, რომელსაც აქვს საერთო დანიშნულება და მიზანი: ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებლობის ფარგლებში დაძლიონ და მოაგვარონ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები.

საკრებულომ საკრებულოს თავჯდომარის, ბესიკ ტაბიძის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2019 წელს გაწეული მუშაობის თაობაზე წარმოდგენილი წლიური ანგარიში შეაფასა დადებითად და მიღებული იქნა ცნობად.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნომერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.**

მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ნიგოითში (ქვიანში) მდებარე ამბულატორიის შენობის, N6-ი 14.72 კვ.მ. ფართი ოთახის (ს/კ 27.04.50.282)) ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებისათვის“ (ს/ნ 233731478) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლოდ უზუფრუქტის ფორმით გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან აიპის აღნიშნული უძრავი ქონება ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად, კერძოდ სოფლის ბიბლიოთეკის განსათავსებლად. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა 2019 წლის 10 ოქტომბრის N1945 მოხსენებით ბარათზე დამატებით განმარტა, რომ სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს/კ 27.04.50.282) კერძოდ: ნიგოითის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (სოფ. ქვიანი) ამბულატორიის შენობა-ნაგებობაში - N6 ოთახი, ფართით- 14.72კვ.მ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად - აუქციონის გარეშე, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებას“ (ს/ნ 233731478)

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინაღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 58 (29.11.2019)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მისი განმარტებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის, 2019 წლის 15 ოქტომბრის N1/1-5187 ბრძანების თანახმად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს, დამატებითი ქონების სახით გადმოეცა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ორი ერთეული ნაგავმზიდი და 150 ცალი ლითონის ნაგავშემკრები კონტეინერი. აღნიშნული მოძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ,

დაფუძნებული ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ (ს/ნ 433649322) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემა არის მიზანშეწონილი, ვინაიდან ა(ა)იპ-ს ის ესაჭიროება მისთვის წესდებით განსაზღვრული ფუნქციის განსახორციელებლად. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონება აუქციონის გარეშე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადასცეს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 59 (29.11.2019)

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გაცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულების N4 დანართში მითითებული ავტომობილის (VAZ 2107; გამოშვების წელი 1999. მწვანე - 8/8; სედანი; სარეგისტრაციო ნომერი MAC-002)საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენდა 1200 ლარს; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ელექტრონული აუქციონის და განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით გამოცხადებულ ამ მოძრავი ქონების ფასი შემცირებული იქნა 50%-ით. მიუხედავათ ამისა ავტომობილის პრივატიზება არ მოხდა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად თუ არ მოხდება 50%-მდე შემცირებული საპრივატიზებო საფასურით ქონების პრივატიზება, ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ზემოთ აღნიშნული ავტომობილის საწყის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს თავდაპირველი ღირებულების 30%- 360 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 60 (29.11.2019)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებაში 2019 წლის 30 ოქტომბრის N2271 განკარგულებით შესული ცვლილების შედეგად შემცირდა სტადიონების რეაბილიტაციის სამუშაოების თანხა 10418 ლარით. შემოსული წერილების განხილვის შედეგად მიზანშეწოლილად ჩაითვალა გაიზარდოს გარე განათების ელექტროენერგიის ხარჯი 17000 ლარით, ასევე მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულის საქმეთა სამსახურის განათლების ხელშეწყობის პროგრამა (ორგ.კოდი 04 03) გაიზარდოს 1000 ლარით, სპორტული ღონისძიების პროგრამა- (ორგ.კოდი 05 01 02) 800 ლარით.

შპს „ლანჩხუთი“-ს დაფინანსება გაეზარდოს 15000 ლარით. ა(ა)იპ კულტურის გაერთიანების ცენტრის დაფინანსება გაიზარდოს 17500 ლარით სხვა საქონელი და მომსახურების მუხლში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახურის წერილის საფუძველზე გაიზარდოს სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების პროგრამის დაფინანსება 47000 ლარით;

მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი გაიზარდოს 12700 ლარით; მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივები გაიზარდოს 7000 ლარით.

ა(ა)იპ სპორტულ ცენტრს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში გაეზარდოს დაფინანსება 21000 ლარით;

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს გაეზარდოს დაფინანსება 43000 ლარით, მათ შორის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი (ორგ.კოდი 03 01) 26000 ლარით და (საახალწლო ღონისძიებების მოწყობა) სადღესასაწულო ღონისძიებები (ორგ.კოდი 02 06 03) 17000 ლარი;

ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლას გაეზარდოს დაფინანსება შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 4560 ლარით; აღნიშნული ღონისძიებების დაფინანსება განხორციელდეს არასასოფლო-სამეურნეო მიწის დანიშნულების გეგმის ზრდით 176142 ლარი.

დამტკიცებულ ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს შიდა მონაცვლეობა: ა(ა)იპ საფეხბურთო სკოლას შეუმცირდეს თანამდებობრივი სარგო 155 ლარით, სხვა ხარჯების მუხლი 2356 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 102 ლარით. 2613 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 2613 ლარით.

ა(აი)პ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის 2019 წლის 15 ნოემბრის N182 წერილის თანახმად, ტრანსპორტის განვითარების (ორგ.კოდი 02 07) შრომის ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 4000 ლარით, უპატრონო ცხოველების მოვლითი

ღონისძიებების (ორგ.კოდი 03 04) საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდეს 2600 ლარით, წყლის სისტემის ექსპლოატაცია (ორგ.კოდი 02 02 02) შრომის ანაზაღაურების მუხლი შემცირდეს 1920 ლარით და საქონელი და მომსახურება გაიზარდოს 700 ლარით, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანა (ორგ.კოდი 03 01) შემცირდეს არაფინანსური აქტივები 3700 ლარით და გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 500 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლი 8000 ლარით, სასაფლაოს მოვლა-პატრონობა (ორგ.კოდი 02 06 05) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიზარდოს 3020 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია (ორგ.კოდი 02 03 01) შრომის ანაზღაურების მუხლი გაიზარდოს 3190 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლის 3190 ლარით შემცირების ხარჯზე, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა (ორგ.კოდი 03 02) შრომის ანაზღაურების მუხლის 4600 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურება 4600 ლარით.

ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარების და ინოვაციის ცენტრს საქონელი და მომსახურების მუხლის 8000 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს შრომის ანაზღაურების მუხლი 8000 ლარით.

ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილების მიზნით ასახული იქნეს როგორც შემოსავლის, ისე ხარჯვით ნაწილში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 61 (29.11.2019)

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრმა ამირან ქანთარიამ არაერთხელ მომართა თხოვნით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას კლინიკა ,,ჯანმრთელობის“ მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებისა და ტრანსპორტის, მათ შორის ტაქსების გაჩერების მოწესრიგების შესახებ. საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართა მუნიციპალიტეტის მერს დაეხმაროს საკითხის მოგვარებაში, რადგან თავის დროზე მათი მხრიდან გაიცა დაპირება, რომ დაიხაზებოდა აღნიშნული ტერიტორია. მისი თქმით, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს, ლევან ჩხაიძეს შეუძლია ამ კუთხით გარკვეული დახმარების გაწევა, რათა მოწესრიგდეს კლინიკის მიმდებარე ტერიტორია.

საკრებულოს წევრმა, **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნაა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისადმი გაწიოს შუამდგომლობა საავტომობილო გზების დეპარტამენტთან, რათა სოფელ ლესაში ბათუმის

მიმართულებით გაკეთდეს მოსაცდელი. მან ასევე თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რათა დაეხმაროს მოქალაქე გურამ ბოლქვაძეს პრობლემის მოგვარებაში, რომელიც წლებია რაც მიმდინარეობს. კერძოდ, აღნიშნულ პიროვნებას ამპუტირებული აქვს ორივე ქვედა კიდური. ქირურგიული ოპერაციების შემდეგ ორ კლინიკასთან მას აქვს დავალიანება, რომლის დაფარვაც ოჯახს ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე არ შეუძლია. გურიის გუბერნატორი თავის მხრივ გურამ ბოლქვაძეს დაპირდა გაუწიოს შუამდგომლობა საკითხის მოგვარებასთან დაკავშირებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, მაგრამ ამისთვის საჭიროა მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ სათანადო საბუთების მომზადება.

ამის შემდეგ, საკრებულოს წევრმა ისარგებლა შემთხვევით და მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარესა და კოლეგებს, ასევე მუნიციპალიტეტის მერს გაწეული მუშაობისთვის და უსურვა შემდგომი წარმატება. მან აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მადლობელი და კმაყოფილია იმ შეხვედრებით, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით იმართება ყოველ სამშაბათ დღეს, რადგან ასეთი მიღებების შედეგად ძალიან ბევრ მოქალაქეს შეძლებისდაგვარად მოუგვარდა სხვადასხვა სახის პრობლემა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო